10/02/2026

MES 9 26 0000138473

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.01.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 18:00 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - სხდომის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;

8. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
9. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე
10. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
11. **ციური დურული** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
12. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
14. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ქეთევან ინანაშვილი-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადილე;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თეა კორზაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიანა თარგამაძე - აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
ნინო ლომიძე - აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მამუკა მაისურაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
აკაკი გუნცაძე - აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი;
ზვიად კოვზირიძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ბაკალავრიატის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის“ საგანმანათლებლო პროგრამა;

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ნაილა ჩელებაძე - პრორექტორი;
ნინო შუშანიძე - ფაკულტეტის დეკანი;
ეკატერინე გელენიძე - სასწავლო პროცესის ზედამხედველი;
თამარ ბერიძე - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

ლელა კუკულაძე - ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ელზა ფუტკარაძე - ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ია შალამბერიძე -იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი;
მზია შავაძე - იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი;
დედა ბარბარე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
ნარგიზ სურმანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარინა ტურავა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
მაკა კაჭარავა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია დარასელია - ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების და ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
დიანა მიქელაძე - ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
თეონა მაისურაძე - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინიტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თეა ხორგუაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი;
ნინო ორჯონიკიძე - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მაია აზმაიფარაშვილი - ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან მიდოდაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნატო გენგიური - პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნანა დოლიძე - ასოც. პროფესორი, დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სამაგისტრო პროგრამის „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ - ხელმძღვანელი;
თამარ ბართაია - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სამაგისტრო პროგრამის „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ - ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

III საკითხი
ინგა ბოჭოიძე
ნინო პატარაია
ნათია გეგელაშვილი

IV, V, VI საკითხები
ნინო პოპიაშვილი

ნინო ფხაკაძე
თამთა ცხოვრებაძე

VII საკითხი
ნინო ჯოჯუა

VIII საკითხი
დავით სიხარულიძე

IX საკითხი
ეკა ლეკაშვილი
ია ნაცვლიშვილი

X საკითხი
თამარ ჩხეიძე

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა ლევან შავაძემ.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ლიტერატურის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართველური ენათმეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
6. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

8. სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კონოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე იშუამდგომლა, რომ საბჭოს დამატებით განეხილა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 შუამდგომლობა:
1. ,,მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (2026 წლის 1 მარტის ჩათვლით) სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი;
2. აკრედიტაციის საბჭოს №1789691, 16/12/2025 ოქმში ტექნიკური ცვლილების შეტანის საკითხი.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 16 დეკემბრის №1789691 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ლიტერატურის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართველური ენათმეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
8. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

10. სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

მეორე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 16 დეკემბრის №1789691 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ვლადიმერ ადეიშვილმა - საფუძველი, შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
ვინაიდან ორივე შუამდგომლობა ეხებოდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საბჭომ გადაწყვიტა ორივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინა მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2025 წლის 31 დეკემბრამდე უნივერსიტეტი ახორციელებდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ მისანიჭებელი კვალიფიკაციით „საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი“. დარგობრივი მახასიათებლისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა მოქმედ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ შეიტანა ცვლილებები, კერძოდ, შეცვალა პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მცირედი ცვლილებები განხორციელდა პროგრამის შინაარსში და 2025 წლის 1 მაისამდე უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციაზე წარმოადგინა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგია“. აკრედიტაციის განაცხადის გაკეთების დროს ცენტრში პროგრამის თვითშეფასების ანგარიში წარდგენილი იყო ტექნიკური ხარვეზით, კერძოდ, სტატუსით „აკრედიტებული“ ნაცვლად სტატუსისა „ახალი“, რის გამოც აკრედიტაციის საბჭოს №1789691, 16/12/2025 ოქმში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა და „მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის“ პროგრამის სტატუსად, ნაცვლად „ახალი“ მითითებულია „აკრედიტებული“.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება 2025 წლის 31 დეკემბერს, დაწესებულება გეგმავს, რომ სტუდენტების შიდა მობილობით გადაიყვანოს ახალ „მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე, რისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ მათ მისცეს უფლება, რომ „მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს 2026 წლის 1 მარტამდე დაასრულებინონ საშემოდგომო სემესტრი, რის შემდეგაც შიდა მობილობით უზრუნველყოფენ სტუდენტების გადაყვანას ახალ აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგია“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის (2026 წლის 1 მარტის ჩათვლით) დასრულების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (წერილი №71260, 27/01/2026), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და 2019 წლის 26 მარტის №70 გადაწყვეტილებით აკრედიტებულ ,,მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის 1 მარტის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 31 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 16 დეკემბრის №1789691 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 27 იანვრის გამართულ სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 16 დეკემბრის №1789691 სხდომის ოქმში შევიდეს ცვლილება და სხდომის ოქმის მეორე ნაწილში, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი, ნაცვლად "აკრედიტებული", მიეთითოს "ახალი".

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზა";

საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცნიერების ბაკალავრი მასალების საინჟინრო; ტექნოლოგიაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0722 - მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა);
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ - საფუძველი, შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ცენტრის თარჯიმანმა საბჭოს გააცნო საერთაშორისო ექსპერტის პეტრიკა ვიზურეანუს (Petrica Vizureanu) წერილობითი მოსაზრებები შესაფასებელ პროგრამასთან დაკავშირებით: უპირველეს ყოვლისა გვსურს მადლობა გადავუხადოთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროგრამის მმართველ გუნდს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს მათი ღიაობისთვის, თანამშრომლობისთვის და აქტიური ჩართულობისთვის აკრედიტაციის პროცესში ადგილზე ვიზიტის დროს.
შეხვედრები კონსტრუქციულ და პროფესიულ ატმოსფეროში გაიმართა, რაც ცხადყოფს დაწესებულების ერთგულებას გამჭვირვალობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის უწყვეტი განვითარების მიმართ. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას გამოთქვამს დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ძალიან აფასებს დაინტერესებული მხარეების მზადყოფნას, ჩართულიყვნენ შინაარსიან დიალოგში შეფასების პროცესის განმავლობაში.
საერთო შეფასების საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბაკალავრის პროგრამა „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზა“ მთლიანობაში შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. სრული შესაბამისობა დაფიქსირდა სტანდარტების უმეტესობაში, ხოლო არსებითი ან ნაწილობრივი შესაბამისობა გამოვლინდა კონკრეტულ სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებასთან, სტუდენტების შეფასების მექანიზმებთან და მატერიალური და ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფასთან. ეს მიგნებები ასახავს მყარ აკადემიურ საფუძველს და პროგრამის ეფექტიან დიზაინს, ამასთან მკაფიოდ იდენტიფიცირებად სფეროებს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი რეკომენდაციები ფოკუსირებულია პროგრამის პრაქტიკული ორიენტაციის გაძლიერებაზე ლაბორატორიული და ტექნიკური აღჭურვილობის სისტემატური მოდერნიზაციის და სტუდენტების აკადემიური ეთიკისა და პლაგიატის პრევენციის პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემები ყოვლისმომცველად ასახავს როგორც სასწავლო,

ისე სამეცნიერო პასუხისმგებლობებს. გარდა ამისა, ჯგუფი რეკომენდაციას უწევს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ხილვადობის გაზრდას მიზნობრივი კვლევისა და მობილობის მხარდაჭერის მეშვეობით.
მოცემულ რეკომენდაციებთან ერთად, წარმოვადგინეთ რამდენიმე წინადადება ხარისხის გრძელვადიანი გაუმჯობესების მხარდასაჭერად. ესენია სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის შესაძლებლობების გაფართოება, საწარმოებში ვიზიტების სიხშირისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზრდა, ამასთან როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მხარდაჭერის გაძლიერება და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა.
ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს პროგრამის დიდ პოტენციალს, ინსტიტუციურ გამოცდილებას და მის შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას. წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის ხარისხს, მდგრადობას და წვლილს შეიტანს მასალათა ინჟინერიის სფეროს განვითარებაში.
ადგილობრივმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაციები ეხებოდა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლებას. ვიზიტის დროს დაწესებულებაში მიმდინარეობდა რეორგანიზაცია და სილაბუსებში მითითებული იყო ახალი კორპუსის ლაბორატორიები, მოხდა მათი დათვალიერებაც. ახალ კორპუსებში მატერიალურ - ტექნიკური ბაზა არის გაუმჯობესებული. ვიზიტის დროს შექმნილი გარემო იყო თანამშრომლობითი და ყველა დოკუმენტი იყო ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების ძირითადი რეკომენდაციები მიმართულია მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით. თუმცა მისი მოსაზრებით, არსებული ბაზა საკმარისია იმისთვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში იდენტიფიცირებული აქვს, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრში დოკუმენტაციის წარდგენის პერიოდში პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 2 სასწავლო კურსი ფუნქციონირებდა აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით, წელს კი უკვე პროგრამას მესამე სასწავლო კურსიც დაემატა. რადგან პროგრამა ახალია, მათ არ ყავთ კურსდამთავრებულები და ინტერვიუს მხოლოდ პირველი და მეორე კურსის სტუდენტები დაესწრენ. უნივერსიტეტი სტუდენტებს საფუძვლიანად აცნობს ყველა იმ შეთავაზებებას, რომელიც მათთვის დაწესებულების ინიციატივით ხორციელდება. უნივერსიტეტი ძალისხმევას არ იშურებს ტრენინგებთან დაკავშირებით და მუდმივად ატარებს მათ როგორც სტუდენტებთან ისე პერსონალთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო პროცესების მართვის ინსტრუქცია, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის და დევს უნივერსიტეტის ვებგვერდზეც. აღნიშნულ დოკუმენტს ასევე თან ახლავს კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, სადაც დეტალურად არის გაწერილი კვლევითი კომპონენტის შეფასების საკითხები. ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნია ლიცენზირებული პლატფორმა, რომლითაც სარგებლობენ ტექნიკური უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები. ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება სტუდენტის მიერ შესრულებული კვლევითი კომპონენტის შეფასებას, მსგავსების კოეფიციენტის დადგენას კონკრეტული პროცენტების მითითებით დეტალურადაა მოცემული შესაბამის დოკუმენტში. გარდა ამისა, აკადემიური კულტურის ჩამოყალიბებისთვის ბაკალავრიატის საფეხურზე მოქმედებს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები: „აკადემიური წერა“, და „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“. აღნიშნული სასწავლო

კურსების საშუალებით სტუდენტები იღებენ ცოდნას აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაანალიზებას, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სისტემატიურად ახდენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, თითოეული პროფესორი ვალდებულია ინდივიდუალურად წარადგინოს ანგარიში სამეცნიერო კვლევის სამუშაოს შესახებ, ასევე, დეპარტამენტიც ვალდებულია წარადგინოს ფაკულტეტის ანგარიში, ხოლო ამ პროცესს მონიტორინგს უწევს მეცნიერებათა აკადემია, რომლის დასკვნის საფუძველზეც ვლინდება დაწესებულების კვლევითი მუშაობის ფასეულობა. დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია მათ უკვე შესრულებული აქვთ. ასევე პროფესორებს შრომით ხელშეკრულებაში უწერიათ, რომ ისინი ვალდებული არიან მოამზადონ გარკვეული რაოდენობის სტატია და გამოაქვეყნონ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვას, აღნიშნა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას აქვს უფრო რჩევის სახე, რადგან 47 პერსონალიდან მხოლოდ 2 პერსონალის დატვირთვაში აღმოჩნდა გარკვეული შეუსაბამობა, ესეც მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური მიზეზით იყო გამოწვეული.
დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტთან და მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ყველა რეკომენდაციის შესრულების პროცესშია.
დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში შექმნილია ელექტრონული მიკროსკოპის ცენტრი, რომელსაც იყენებს მთელი უნივერსიტეტი. ასევე, უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმი, სადაც გაერთიანებულია 8 ინსტიტუტი და უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ყველა ინსტიტუტის ბაზა. ასევე უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს საშუალოდ 30 პრეზენტაციას და 150 სამეცნიერო ნაშრომს. რაც შეეხება დამსაქმებლებს, მისი თქმით, მთავარი ორიენტირი არის მწარმოებლებზე, მაგრამ ყველაზე მეტად უნივერსიტეტი ორიენტირებულია მაღალი ტექნოლოგიის ეროვნულ ცენტრზე. ასეთი წარმოება მსოფლიოში სულ არის 5, ეს არის იაპონია, ამერიკა, საფრანგეთი, ჩინეთი და საქართველო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტის პერსონალის ნაწილს საშუალოდ 11 ან 9 მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყოველწლიურად უნივერსიტეტი მეცნიერებათა აკადემიაში აგზავნის ანგარიშებს, რაც უნივერსიტეტისთვის არის ერთგვარი ადგილობრივი ინდიკატორი სამეცნიერო კუთხით. გასულ წელს ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში საფუძვლიანად გადაიხედა ყველა საუნივერსიტეტო დებულება და შემუშავდა სამეცნიერო მიმართულებით დოკუმენტი, რომელიც წარედგინა აკადემიურ საბჭოს და ეს ყველაფერი წარდგენილია ანგარიშშიც. მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულების გამსხვილების შედეგად პრაქტიკული კომპონენტის სახით 32 სასწავლო ლაბორატორია დაემატა ინფრასტრუქტურას. ასევე, მისი თქმით, უნივერსიტეტში არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული სერვისებისა და კარიერული დაგეგმვის სამსახური, რომელიც მოიცავს განყოფილებებს კულტურის, სპორტისა თუ აკადემიური განვითარების მიმართულებს. აღნიშნულ სამსახურებს ფაკულტეტებზეც ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები კონკრეტულად თვითმმართველობის პარალელურად, რომლებიც სრულფასოვნად უზრუნველყოფენ სტუდენტების ორიენტაციის გამარტივებას უნივერსიტეტის სივრცეში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როგორც 2025, ისე 2026 წლებში აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილი იყო გარკვეული რაოდენობის ხარჯები, ასევე ყველა საჭირო კუთხით ფინანსდებიან სტუდენტებიც. არსებობს კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები, სადაც ჩართულები არიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები. ამასთან, აღნიშნულ ფაკულტეტს აქვს დუალური ხარისხის პროგრამა, რომელიც მათი

მოსაზრებით არის ინტერნაციონალიზაციის ერთგვარი ხელშეწყობა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგრანტო ოფისიც, სადაც ნებისმიერ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს კვალიფიციური პერსონალი უწევს კონსულტაციას და ეხმარებიან საერთაშორისო გრანტების გაწერაში. ამასთან, ფაკულტეტის საბჭოებზე ხდება ბიუჯეტის კონტროლი, განხილვის შედეგად ბიუჯეტი იგზავნება სენატში და წარმომადგენლობით საბჭოში, სადაც ასევე არსებობს საბიუჯეტო კომისია, რომელშიც ფაკულტეტის ყველა წარმომადგენელია ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას, ის დაინტერესდა დაწესებულებას ჰქონდა თუ არა აკადემიური ეთიკის სპეციალურად შემუშავებული პროგრამა ან ტრენინგ კურსი და როგორ რეაგირებდა ინსტიტუცია პლაგიატის შემთხვევებზე. ასევე არსებობდა თუ არა უნივერსიტეტში პერსონალისთვის საერთაშორისო პუბლიკაციების მიზნობრივი მხარდაჭერის მექანიზმი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგრანტო ოფისი, რომელიც უწევს შესაბამის კონსულტაციებს სტუდენტებს და პერსონალს. ასევე უნივერსიტეტში არსებობს საუნივერსიტეტო ეთიკის კომისია, რომელსაც აქვს თავისი დებულება და მუშაობს აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით. გარდა ამისა, დაწესებულებაში არსებობს ინოვაციური სწავლების ცენტრი, სადაც პერმანენტულად და პერიოდულად ხდება აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით ტრენინგების ჩატარება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მისი თქმით დასკვნის მეშვიდე გვერდზე წარმოდგენილია რეკომენდაციები, ერთერთი რეკომენდაციის თანახმად, რეკომენდირებულია, შემუშავდეს სარეკომენდაციო გეგმა ფინანსური შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო ამავე დასკვნის 58-ე გვერდზე არის საკმაოდ მოცულობითი რეკომენდაცია და შემდეგ არის ჩამოწერილი რეკომენდაცია ფინანსური შესაბამისობის გასაუმჯობესებლად. ის დაინტერესდა რა იგულისხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები რომლებიც გაცემულია მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით, ბუნებრივია დაკავშირებულია ფინანსური რესურსების საკითხებთან. ექსპერტებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფინანსური უზრუნველყოფის გეგმის საკითხი და რეკომენდაციაც გასცეს რომ ზუსტად განისაზღვროს პროგრამის როგორც მატერიალური, ისე ხელშემწყობი მექანიზმების საკითხები ფინანსურ დოკუმენტში, რომელიც იქნება პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული. შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტმა ჩათვალა, რომ დამატებით ჩაეშალა ის რეკომენდაციები, რომელი მიმართულებითაც სჭირდებოდა დაწესებულებას გაუმჯობესება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:22
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 31 დეკემბრამდე.

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ლიტერატურის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართველური ენათმეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს - დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

ვინაიდან ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო, “ქართული ლიტერატურის” და “ქართველური ენათმეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა ერთი ვიზიტის ფარგლებში ერთი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საბჭომ გადაწყვიტა რომ სამივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ერთი ვიზიტის ფარგლებში შეაფასა 3 საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულებას ჰქონდა მზაობა შეესრულებინა ყველა რეკომენდაცია და შეძლებისდაგვარად შეასრულა გარკვეული რეკომენდაციები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაწესებულებიდან გამოითხოვეს გარკვეული დოკუმენტები. შეფასების შემდეგ ექსპერტებმა გასცეს დამატებითი რეკომენდაციებიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იყოს უფრო სრულყოფილი და შეესაბამებოდეს საკანონმდებლო რეგულაციებსა და დარგობრივ მახასიათებლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულების მიზნით დაწესებულებაში განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ ტრენინგი, რომელსაც მუდმივი ხასიათი ექნება და გააუმჯობესებს აკადემიური პერსონალის ჩართულობის საკითხს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შეიმუშავეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კონსულტაციების ფორმა. მას შემდეგ, რაც დამტკიცდება სამაგისტრო ნაშრომის თემა ხელმძღვანელი უთანხმდება სტუდენტს კონსულტაციებთან დაკავშირებით. განსაზღვრულია დრო და შენიშვნების გრაფაც, სადაც კონსულტაციების გადავადებისა თუ არჩატარების მიზეზები იწერება. აღნიშნულ ფორმას ფაკულტეტის დონეზე ეცნობა ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის მდივანი. შესაბამისად, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით შეესაბამება სტანდარტებს. სამეცნიერო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახურმა დაწესებულების პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი საერთაშორისო ბაზებთან წვდომის ხარისხის და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესების თვალსაზრისით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ქართული ფილოლოგიის“ პროგრამის მიზანი არის საბაკალავრო ნაშრომის შექმნა და დაწესებულებას სამეცნიერო კვლევით კომპონენტში აქვს ჩანაწერი გაკეთებული „კვლევითი რეფერატი“. ამით დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია. დაწესებულებამ განაახლა ლიტერატურა „ქართული ენის ისტორიის“ სასწავლო კურსში, დაემატა 2000 წლის შემდეგ გამოცემული ლიტერატურა. გადამუშავდა სასწავლო კურსები ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ასევე რეკომენდაცია იყო, რომ „ლიტმცოდნეობის“ კურსს დარქმეოდა „ლიტერატურისმცოდნეობა“, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აკადემიურ პერსონალთან ერთად განიხილა რეკომენდაციები და გარკვეული ცვლილებები შეიტანა „ქართული ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამაში. რეკომენდაციები ეხებოდა სასწავლო კურსების დამატებას პროგრამაში, მაგალითად: „აღორძინების ეპოქის ქართული ლიტერატურის ისტორია“ და „ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები“. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები. ამავდროულად, კონკრეტულ კურსებს სამაგისტრო დონეზე უნდა ჰქონოდათ სავალდებულო სტატუსი, ეს უკანასკნელიც გაითვალისწინა დაწესებულებამ. სასწავლო კურსებში დაემატა როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. ამავდროულად, კურსებს შეეცვალათ სახელწოდებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ის დაინტერესდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები რეკომენდაციაში ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში, კერძოდ, იგულისხმებოდა კურსების ჩამონათვალი თუ შინაარსი. ის ასევე დაინტერესდა რა იყო ექსპერტების მხრიდან კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ასევე ის დაინტერესდა, ტექნიკური გაუმართაობის საკითხი, რომლებზეც ექსპერტები საუბრობენ დასკვნაში ახდენდა თუ არა გავლენას პროგრამის მდგრადობაზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ეხება როგორც კურსების თანმიმდევრობას, ისე შინაარსობრივ ნაწილსაც, რადგან ენისა და ლიტერატურის ნაწილში დიდი მასალაა ჩაშლილი, თუმცა შეინიშნება ერთგვარი აღრევა, არათანმიმდევრულობა. რაც შეეხება კრედიტების განაწილებას, მისი განაწილება არ არის ცხადი, ვერ საბუთდება რას ეფუძნება კრედიტების განაწილება. საათობრივი დატვირთვა ერთნაირია, თუმცა კრედიტები განსხვავებული. ტექნიკურ ხარვეზებთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს არ ახდენს გავლენას პროგრამის მდგრადობაზე.
საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას დუბლირებულ საგნებთან მიმართებით. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჩასწორდა საგნები რამდენიმე საგანი მაინც დუბლირებულია და მას აინტერესებდა როგორ აპირებდა ამ პრობლემის

მოგვარებას დაწესებულება. ასევე, ის დაინტერესდა როგორ ხედავდა დაწესებულება ინტერნაციონალიზაციის საკითხს.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წინა შეფასების დროს ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ პროგრამას უნდა დამატებოდა ქართული ლიტერატურის ტენდენციების შემსწავლელი ცალკე სასწავლო კურსი, რომელსაც ისინი ახორციელებენ მაგისტრატურაში და თუ აქაც დაამატებენ სასწავლო კურსს წარმოიშვება დუბლირების პრობლემა.
საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ ლიტერატურასთან მიმართებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მითითებულია, რომ პროგრამა შეესაბამება უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა იქვე გაცემულია რეკომენდაცია, რომ რეკომენდირებულია, შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. მას აინტერესებდა ექსპერტთა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ძირითად შემთხვევაში სრულად შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, საჭიროა მხოლოდ დარგობრივი საკითხების დაზუსტება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო კუთხით მათი უნივერსიტეტი საერთაშორისო ჟურნალებში ნაკლებად აქტიურობს. ამიტომ ტრენინგები იგეგმება ამ საკითხის გასაუმჯობესებლად. ასევე, დაწესებულება აკადემიურ პერსონალს სთავაზობს საქართველოში მოქმედ საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში სტატიების გამოქვეყნებისთვის ფინანსურ თუ სხვა დახმარებას. უნივერსიტეტის რეგულაციის მიხედვით, ვერ შეფასდება პერსონალი შესაბამისი ქულით, თუ კი მას არ ექნება წლის განმავლობაში მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში. ასევე, უნივერსიტეტი პერსონალს სთავაზობს ინგლისური ენის უფასო კურსს.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს ქართველური ენის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში 4.2 სტანდარტში რეკომენდაცია გაცემულია, თუმცა კომპონენტი შეფასებულია, როგორც „სრულად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო 1.5 კომპონენტი შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა, აღნიშნულ კომპონენტთან გაცემულია რეკომენდაცია. ის დაინტერესდა იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები ვალიდურია და ტექნიკური ხარვეზი დაშვებულია სტანდარტის კომპონენტის შეფასების მონიშვნაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:15
დასრულების დრო: 16:40
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის დროს დაცული იყოს თეორიული და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მეთოდები, რაც გააადვილებს პროგრამის აღქმას და სწორ ორიენტაციას;
2. რეკომენდებულია, კრედიტების განაწილება საუნივერსიტეტო საგნებში ემყარებოდეს სასწავლო კურსების სპეციფიკას;
3. ვინაიდან ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგი არის ქართული ფილოლოგიის სფეროში საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნა, რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში არსებული „სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი - კვლევითი რეფერატის" ნაცვლად ასახული იყოს საბაკალავრო ნაშრომი;
4. რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსები ახალი ლიტერატურით;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მითითებული იყოს ბიბლიოგრაფიული მონაცემების სრული დაცვით;
6. რეკომენდებულია, აღმოიფხვრას სასწავლო კურსებში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი გაუმართაობის საკითხები;
7. რეკომენდებულია, დაზუსტდეს სასწავლო კურსებში სამეცნიერო და დარგობრივი ტერმინოლოგია;
8. რეკომენდებყლია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის "ლიტმცოდნეობის შესავალი" სახელწოდება: "ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი";
9. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში, "ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი" შეისწავლებოდეს ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხები, ხოლო ლიტერატურული მიმდინარეობები სხვა სასწავლო კურსის საგანში იყოს ინტეგრირებული;
10. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში: "ლიტერატურის თეორია" წარმოდგენილი იყოს ამ სასწავლო კურსისათვის შესაბამისი თემატიკა;
11. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების შეფასებისას განსაზღვრული რეფერატისა და პრეზენტაციისათვის შემუშავებული იყოს შესაბამისი გაფორმების წესები და შეფასების კრიტერიუმები;
12. რეკომენდებულია, თავიდან იყოს აცილებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩანაწერთა დუბლირება;
13. რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსისათვის განისაზღვროს შინაარსის შესაბამისი მიზანი და სწავლის შედეგები;
14. რეკომენდებულია, ინსტიტუციამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა, ხარისხის 7 უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის დროს დაცული იყოს თეორიული და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მეთოდები;
2. რეკომენდებულია "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო პროგრამის არსებული კურსების მოდიფიკაცია შესაბამისი თემატიკების დამატების გზით ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული მაგისტრატურის დონის შესაბამისი სიღრმის მისაღწევად;
3. რეკომენდებულა "ქართული ლიტერატურის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში ასახული იყოს სასწავლო კურსი, რომელიც, მრავალმხრივ აანალიზებს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში;
4. რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსები ახალი ლიტერატურით;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მითითებული იყოს ბიბლიოგრაფიული მონაცემების სრული დაცვით
6. რეკომენდებულია, აღმოიფხვრას სასწავლო კურსებში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი შეუსაბამობების საკითხები;
7. რეკომენდებულია, დაზუსტდეს სასწავლო კურსებში სამეცნიერო და დარგობრივი ტერმინოლოგია;
8. რეკომენდებულია, თავიდან იყოს აცილებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩანაწერთა დუბლირება;
9. რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსისათვის განისაზღვროს შინაარსის შესაბამისი მიზანი და სწავლის შედეგები;
10. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების შეფასებისას განსაზღვრული რეფერატისა და პრეზენტაციისათვის შემუშავებული იყოს შესაბამისი გაფორმების წესები და შეფასების კრიტერიუმები;
11. რეკომენდებულია, ქართველი კლასიკოსების შესწავლისას გათვალისწინებული იყოს უახლესი ელექტრონული და წიგნადი გამოცემები;
12. რეკომენდებულია, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ქართველი კლასიკოსების აკადემიური გამოცემები;
13. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების თემატური ჩამონათვალი დაკონკრეტდეს, რათა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურს;
14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი და უზრუნველყოს, რომ 8 ხელმძღვანელებმა თანმიმდევრულად დაიცვან კონსულტაციების სიხშირე, სტუდენტებთან აქტიური მუშაობის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ეს გულისხმობს იმ გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოფხვრას, რომლებიც გამოვლინდა ხელმძღვანელთა შეფასების ანალიზისას, კერძოდ, კონსულტაციებისთვის მეტი დროის დათმობას და რელევანტური სამეცნიერო წყაროების (მათ შორის, საერთაშორისო ბაზების) გამოყენების უზრუნველყოფას;

15. რეკომენდებულია, ინსტიტუციამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული პროგრამაზე დაწყებული გეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ქართველური ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა თამარ ზარანდიამ. აცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა 6 რეკომენდაციის შესრულება. დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან 5 შეასრულა სრულად და მაღალ დონეზე, ისევე, როგორც რამდენიმე რჩევა. რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, ისიც მეტწილად შესრულებულია. კერძოდ, დაწესებულებამ დააკორექტირა თითოეული შედეგისთვის როგორც არაპირდაპირი, ასევე პირდაპირი შეფასება, მაგრამ სასურველია შედეგების შეფასების რუკაში პირდაპირი შეფასების კიდევ უფრო მეტად დახვეწა: კერძოდ, კონკრეტული სწავლის შედეგის დანაწევრება მათში გამიზნული სხვადასხვა კონგტური თუ პრაქტიკული უნარის გათვალისწინებით და მათ კონკრეტულ შეფასების ინდიკატორთან დაკავშირება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მზაობა ნებისმიერ სიტუაციაში იმუშაოს პროგრამის განახლებასა და განვითარებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეოთხე რეკომენდაციაში საუბარი იყო პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კიდევ უფრო დახვეწაზე და კიდევ უფრო კონკრეტიზაციაზე, რაც რა თქმა უნდა, შეასრულა დაწესებულებამ, უბრალოდ პროგრამა არის ახალი და ის თემატიკა, რომელიც იყო აღნიშნული, მეორე და მესამე სასწავლო კურსებზე არის გადანაწილებული. ახლა მიმდინარეობს პირველკურსელთა ფინალური გამოცდები, ამიტომ მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება კიდევ დახვეწა და გაუმჯობესება ამ საკითხის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:56
დასრულების დრო: 16:58
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მერვე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ შეფასება განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით. დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა 5 რეკომენდაცია. დაწესებულებამ ხუთივე რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულებამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს კვალიფიციური დასკვნისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:01
დასრულების დრო: 17:04
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეცხრე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადეს თეა მჭედლურმა და ციური დურულმა - საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ პოზიცია.
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ,,ეროვული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშფასების ანგარიში წარმოდგენილია 2024 წლის 29 ნოემბერს. მან შეაფასა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები. ყველა შეფასებული სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შეფასების მიხედვით, სრულ შესაბამისობაშია 2.1, 2.2, 4.3 და 4.4 სტანდარტების კომპონენტები, ხოლო მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტების 1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 2.3, 2.4, 4.1 და 4.5 კომპონენტები. არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტებმა რამდენიმე რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევებში. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხება პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს, კონკრეტულად პროგრამის მიზნებში თანამედროვე

ტექნოლოგიების ასახვას, პროგრამის სწავლის შედეგებში მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგების ასახვას, ლიტერატურის განახლებას სასწავლო კურსებში, წინაპირობების გადახედვას და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი არ იზიარებენ რამდენიმე რეკომენდაციას. პირველი ეს არის რეკომენდაცია, რომელიც ეხება პროგრამის მიზნებში თანამედროვე ტექნოლოგიების ასახვას. მათი მოსაზრებით პროგრამის მიზნები ასახავს იმას თუ რას უნდა მიაღწიოს პროგრამამ მთლიანობაში. ხოლო სწავლის შედეგები ასახავს კონკრეტულ გაზომვად მოლოდინებს. დაწესებულება მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები არ უნდა იმეორებდეს სწავლის შედეგებს, თუმცა მიზნებიდან უნდა გამომდინარეობდეს თითოეული სწავლის შედეგი. დაწესებულება არ ეთანხმება არც მეორე რეკომენდაციას, რადგან სწავლის შედეგები არის შესაბამისი კლასიფიკატორთან და დარგობრივ მახასიათებელთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა რატომ არ იყო საკმარისი ექსპერტებისთვის დაწესებულების არგუმენტაცია პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით. იგივე კითხვა მიემართება მეორე რეკომენდაციასაც.

ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადი ჩანაწერები თითქმის ყველა პროგრამის მიზნებშია წარმოდგენილი და თუ კონკრეტიკა არ იქნება, რთული იქნება აბიტურიენტმა ერთმანეთისგან განასხვაონ პროგრამები. ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში ხელოვნურ ინტელექტი ფრჩხილებშია მოქცეული და განხილულია თანამედროვე ტექნოლოგიების ერთერთ ნაწილად. მისი თქმით, დღეს თუ სტუდენტს არ აქვს წარმოდგენა ხელოვნურ ინტელექტზე, მომავალში უფრო გაუჭირდება მას ხელოვნური ინტელექტის განახლებულ ვერსიებთან მუშაობა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ზოგადი ჩანაწერი არ კრძალავს იმას, რომ შემდგომში უნივერსიტეტმა განავითაროს პროგრამა ამ თვალსაზრისით.

ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადი ჩანაწერების მიღმა საჭიროა კონკრეტიკა, რადგან მიზნები უკავშირდება შედეგებს და თუ ეს არ არის გამჭვირვალე, მაშინ მოხდება პროგრამის შეფასება.

საბჭოს წევრმა ქეთევან აფთარაშვილმა 2.4. კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემულია საუნივერსიტეტო შეფასების მეთოდები, მათ შორის სპექტაკლში მონაწილეობა, დადგმა, საკონცერტო შესრულება, კაზუსის ამოხსნა, ლიმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, რომელიც სილაბუსებში არ დასტურდება. ამიტომ გაიცა რეკომენდაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:29
დასრულების დრო: 17:35

საბჭომ სტანდარტის 1.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია: „მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნებში აისახოს თანამედროვე ტექნოლოგიების (მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის), ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის და ა.შ. საკითხები. ასევე, აქცენტირება მოხდეს შიდა ქართლის ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშეწყობაზე“, გადაიტანა რჩევებში შემდეგი

ფორმულირებით „სასურველია, პროგრამის მიზნებში აისახოს თანამედროვე ტექნოლოგიების (მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის), ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის და ა.შ. საკითხები. ასევე, აქცენტირება მოხდეს შიდა ქართლის ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშეწყობაზე“. შედეგად, 1.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
საბჭომ 1.2 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია: „სწავლის შედეგები მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელთან ბმაში გადამუშავებულ პროგრამის მიზნებთან და აისახოს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები“ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: “სასურველია, სწავლის შედეგები მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელთან ბმაში გადამუშავებულ პროგრამის მიზნებთან და აისახოს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები“. შედეგად, 1.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნული კომპონენტების ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია პირველი სტანდარტის ცვლილებაზე.
საბჭომ სტანდარტის 4.5 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, დაწესებულების ვებ-გვერდზე განახლდეს დაწესებულებისა და ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია“ გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით: „სასურველია, დაწესებულების ვებ-გვერდზე განახლდეს დაწესებულებისა და ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია“. შედეგად, სტანდარტის 4.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნული კომპონენტის ცვლილების შედეგად მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად განისაზღვროს მესამე დონის სასწავლო კურსი და ამ სასწავლო კურსში შეფასების ის

კონკრეტული მეთოდი/დავალება, რომელიც უშუალოდ აფასებს მოცემულ სწავლის შედეგს. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს მოცემული სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულიც;

2. კვლევის მეთოდების სასწავლო კურსს წინაპირობად უნდა განესაზღვროს ტურიზმის სტატისტიკა;
3. განახლდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსებში: საქართველოს ფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ფინანსების საფუძვლები, ტურიზმის ეკონომიკა, ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა და ორგანიზება და სხვა;
4. გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზები წინაპირობების მატრიცაში;
5. გადამუშავდეს სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
6. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს სილაბუსები მიზნების, შედეგების, სწავლა - სწავლების და შეფასების მეთოდების ურთიერთკავშირში მოყვანის მიზნით;
7. მიზანშეწონილია პროგრამის შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებით განსაზღვრულ მეთოდთა ნაკრებთან;
8. რეკომენდებულია, დაწესებულებამ პერიოდულად განაახლოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ავტობიოგრაფიებში ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებისა და პრაქტიკული პროექტების ჩამონათვალი, ასევე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის შესახებ ინფორმაცია, რათა პერიოდულად შეფასდეს და დადასტურდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.

მეათე საკითხი: სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ისთვი თაცილება
√ არა
მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გათვალისწინებული ვადების დაცვით, 2024 წლის 04 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, რომელშიც ასახულია, რომ „დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და დაგეგმა პროცესები რეკომენდაციების შესასრულებლად. მასალების გაცნობისას გამოიკვეთა რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ შემუშავდა 3 პროგრამული და 15 კლასტერული რეკომენდაცია.
ექსპერტის თქმით, ყველა რეკომენდაცია შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:46
დასრულების დრო: 18:00
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:00 სთ - ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე